საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/56

ქ. ბათუმი 25 ივნისი, 2021 წ.

ბსუ-ს ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი 2011-2012 სასწავლო წლიდან ახორციელებს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 ივნისის №86 დადგენილებით დამტკიცებულ ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 25 ნოემბრის №361 გადაწყვეტილებით.

,,მედიცინის“ საგანმანათლებლო პროგრამას პროგრამას 2021 წლის 1 ივლისს ეწურება აკრედიტაციის ვადა (საფუძველი - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 ნოემბრის №2185 განკარგულება). აღნიშნული პროგრამა ხელახალი აკრედიტაციის (რეაკრედიტაციის) მიზნით წარდგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და ბსუ-ს მინიჭებული აქვს ამ პროგრამის აკრედიტაციის მაძიებლის სტატუსი.

,,მედიცინის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროგრამაზე ირიცხებიან სასწავლო და სოციალური გრანტის ან სხვა, სახელმწიფო ან აჭარის ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე სტუდენტები. მათი დაფინანსების აუცილებელი პირობაა ისინი ირიცხებოდნენ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივლისის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,უნივერსიტეტში პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტს ეძლევა არჩევანის საშუალება - სწავლა განაგრძოს მოდიფიცირებულ პროგრამაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძოს თავსებად, მომიჯნავე/მონათესავე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული უფლების რეალიზაციის შემთხვევაში სტუდენტს არ უნდა დაეკისროს დამატებითი ფინანსური ვალდებულება.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის

თანახმად, ,,უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის გამო შესაძლებელია ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამ პროგრამის სტუდენტებისათვის რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა, რათა ბსუ-ს სტუდენტმა, სურვილის შემთხვევაში, ისარგებლოს ბსუ-ს აკრედიტირებულ სხვა პროგრამაზე შიდა მობილობის უფლებით''.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა და იმის გათვალისწინებით, რომ ,,მედიცინის" საგანმანათლებლო პროგრამა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა და დაუშვებელია მისი აკრედიტაციის გარეშე განხორციელება, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის შუამდგომლობა და გამოცხადდეს რიგგარეშე მობილობა 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ,,მედიცინის" საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ამავე ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების რეალიზაციის მიზნით.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'', ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივლისის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის", ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 08 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 04 ივნისის N01-02/79 ბრძანების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 25 ივნისის №628824 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ბსუ-ს რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა ბსუ-ს ,,მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით (აქტიური სტატუსის მქონეთათვის 230 ვაკანტური ადგილი);

ბ) ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს შესაბამის სტუდენტთა ინფორმირება, რათა მათ მიერ დადგენილ ვადაში იქნეს წარმოდგენილი განცხადებები რიგგარეშე მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით;

გ) ფაკულტეტის მიერ დამუშავდეს მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტების განცხადებები და წარმოდგენილი იქნეს სამსახურებრივი ბარათი თანდართული სიით (შემდეგი მონაცემებით: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადობის ნომერი, 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მათ მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობის, ათვისებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისი სწავლის სემესტრისა და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების ნომრისა და თარიღის მითითებით);

დ) ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის (ვიზირებული სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) საფუძველზე სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს რიგგარეშე მობილობის შედეგად ,,დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება, სტუდენტებისათვის ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დარიცხული სწავლის საფასურის ოდენობის შენარჩუნების დათქმით.

2. წინამდებარე დადგენილების გათვალისწინებით გამოიცეს ბსუ-ს რექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

3. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოთ შესაბამის სტუდენტებს.

4. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.

6. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოთ ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**